

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

---

## წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2021 წლის 27 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N17);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის ~ (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

**შინაარსი**

1. გავრცელების სფერო .....	5
2. ნორმატიული მითითებები .....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები .....	5
4. ზოგადი დებულება .....	6
5. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები .....	6
6. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პედაგოგები .....	7
7. გამოცდების ჩატარების პროცედურა .....	8
8. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები .....	8
9. რესურსები .....	11



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Seafarers' Training and Certification Centre

## 1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება ადგენს შპს ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ფუნქციონალურ თანმიმდევრობას და ვრცელდება ამ განყოფილების თანამშრომლებზე;
- 2) დებულების აღრიცხული ეგზემპლიარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსია) და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში (ელექტრონული ვერსია; ელექტრონული ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე).
- 3) წინამდებარე დებულების დასაგზავნი ეგზემპლიარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

## 2. ნორმატიული მითითებები

არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) STCW, as amended – საერთაშორისო კონვენცია „მეზღაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით;
- 4) საქართველოს კანონი „მეზღაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
- 5) ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
- 6) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
- 7) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

## 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები


### 3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)**, - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **დოკუმენტის პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **შიდა მოქმედი დოკუმენტი** - (ნორმატიული და საინფორმაციო) - შპს „სსც ანრი“-ს ქვედანაყოფებში შემუშავებული დოკუმენტი.
4. **დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარი** - შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტი რომელსაც გააჩნია აღრიცხული ნომერი და გავრცელების სფეროს შესაბამისად დაგზავნება შესაბამის განყოფილებებში.
5. **კონფიდენციალურობა** - საიდუმლო ან განდობილი ინფორმაციის შენახვა-გაუმჟღავნებლობა, რაც განისაზღვრება სათანადო მოქმედი დოკუმენტით.

შენიშვნა: კონფიდენციალურობის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონდებლობის და სხვა რეგლამენტირებული აქტებით.

### 3.2 შემოკლებები

1. **შპს ბუსსს ანრი**- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც სასწავლებელი)



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*


2. IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
3. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
4. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა

#### 4. ზოგადი დებულება

- 1) მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც მოქმედებს სასწავლებლის წესდების, საქართველოს კანონი „მეზღაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია „მეზღაურთა მომზადების დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით, და მეზღაურთა მომზადება, გადამზადება და სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, იმ სამინისტროების ბრძანებებითა და განკარგულებებით, რომელსაც ექვემდებარება შპს ბუსსს ანრი, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბრძანებებითა და განკარგულებებით და შპს ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის ბრძანებებითა და განკარგულებებით.
- 2) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის შტატი მტკიცდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ მასში არსებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.
- 3) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში დაშვებულია სამშტატო ერთეული გაწერილია შპს ბუსსს ანრის სამშტატო განრიგში (ნდ 2-010106), მათ შორის არის:
  - წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი
  - წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი
- 4) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში თანამშრომლების დანიშვნა დამოკიდებულია სამუშაოს მოცულობაზე;
- 5) ზემოაღნიშნული სამშტატო ერთეულები ინიშნება და დავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით.
- 6) გენერალური დირექტორის ბრძანებით დაშვებულია ზემოაღნიშნული სამშტატო ერთეულების ურთიერთშენაცვლება, მოვალეობების შესრულება, რაც აღინიშნება ფუნქციონალურ მოვალეობებში.

#### 5. მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

- 1) მეზღაურთა მომზადება, გადამზედება, სერტიფიცირების პროცესის (საწვრთნელი პროცესის) მართვა საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად;
- 2) სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წესის დადგენა საწვრთნელ კურსებზე, მსმენელების მიერ მომზადების სათანადო დონის, ცოდნის მიღება, რომელსაც მოითხოვს მეზღაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენცია (STCW as amended).
- 3) მსმენელი კი თავის მხრივ ვალდებულია დადგენილი პროგრამის მიხედვით გაიაროს ყველა ის კურსი, რომელიც საჭიროა მის მიერ დაკავებული თანამდებობის მეზღაურთა მართვის და რომლის სწავლებაც სავალდებულოა.
- 4) სასწავლო-საწვრთნელი პროცესი შეუძლებელია ჩაითვალოს სრულყოფილად თუ არ იქნება გათვალისწინებული ის თუ როგორ აღიქვამენ, განახორციელებენ და ითვისებენ მსმენელები კურსის მსვლელობისას მოწოდებულ მასალას, როგორ გამოიყენებენ ცოდნას პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას. ამისათვის ყველა კურსის შედეგი განისაზღვრება მსმენელების შემოწმებით, გამოცდით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა


*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

- 5) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში ტარდება კონვენციური და არა კონვენციური საწვრთნელი კურსები.
  - კონვენციური საწვრთნელი კურსები გულისხმობს საწვრთნელ კურსებს, რომელიც მოითხოვება საერთაშორისო კონვენციით STCW, as amended. კონვენციური კურსების ჩასატარებლად სასწავლო პროგრამების შემუშავება ხდება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების საფუძველზე პედაგოგების მიერ, მტკიცდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ და აუცილებლად უნდა იყოს აღიარებულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. კონვენციური კურსების სერტიფიკატებს გასცემს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.
  - არაკონვენციური საწვრთნელი კურსები ტარდება სხვადასხვა საზღვაო კომპანიების, მეზღაურთა დამსაქმებელი კომპანიების მოთხოვნისამებრ. სასწავლო პროგრამების შემუშავება ხდება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების ან სხვა სავალდებულო მასალის საფუძველზე პედაგოგების მიერ, მტკიცდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ. არაკონვენციური კურსების სერტიფიკატებს გასცემს შპს ბუსსს ანრი.
- 6) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სწავლების ხანგრძლივობა ყველა საწვრთნელ კურსზე ინდივიდუალურია, რაც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამაში მითითებულ დღეების ხანგრძლივობას და საათებს.
- 7) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მეცადინეობა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი ცხრილის/განრიგის მიხედვით, რომელიც იტვირთება ელ.მოდულში; კურსის მსვლელობისა და მსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში; კურსის დასრულებისას მსმენელთა ცოდნის შეფასების მიზნით ტარდება გამოცდა, სადაც მიმდინარეობს თეორიული და პრაქტიკული დავალებების შესრულება; გამოცდები ფორმდება შესაბამის საგამოცდო ოქმებში; კონვენციური კურსების გამოცდები ტარდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ელ.მოდულის მეშვეობით, ხოლო არაკონვენციური კურსების გამოცდები ტარდება ადგილზე. საგამოცდო ოქმები ინახება შპს ბუსსს ანრიში, რომლის საფუძველზეც სასწავლებელი გასცემს შესაბამის სერტიფიკატებს.
- 8) კურსების ჩატარების პირობები, მსმენელების საგამოცდო პირობები, კურსის სერტიფიკატის გამცემი ორგანო და სხვა პირობები და მოთხოვნები კურსებზე ჩარიცხვის და გავლის შესახებ გაწერილია ყოველი კურსის პროგრამაში და ნდ 2-010129 დებულებაში.
- 9) წვრთნისა და სერტიფიცირების კურსების მსვლელობა იმართება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ელექტრონული მოდულით, სადაც იტვირთება საწვრთნელი კურსის დაწყება-დამთავრება, მსმენელების სია, ინსტრუქტორების მონაცემები, კურსების გავლის საბოლოო ამონაწერი, რომელიც საჭიროა სერტიფიკატების მისაღებად.
- 10) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში საქმისწარმოება მიმდინარეობს დადგენილი წესების შესაბამისად და სხვა საჭირო პროცედურების შესაბამისად.

## 6. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორები

ინსტრუქტორები მუშაობს ხელშეკრულების საფუძველზე, კურსის დაწყებისას გენერალური დირექტორის ბრძანებით ისინი მოიწვევიან კურსის ჩასატარებლად. ინსტრუქტორების შერჩევა ყოველი კურსის წასაკითხათ ხდება სწავლების ტექნიკასა და მეთოდოლოგიაში გამოცდილებისა და კომპეტენტურობის გათვალისწინებით, საქართველოს კანონი „მეზღაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, საერთაშორისო კონვენცია „მეზღაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ (STCW, ცვლილებებით) წესი A-I/6 და საერთაშორისო საზღვაო





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

ორგანიზაციის მოდელ კურსებში განსაზღვრული ინსტრუქტორებისადმი მოთხოვნების შესაბამისად.

კურსის ჩასატარებლად მოთხოვნები ინსტრუქტორებისადმი განსაზღვრულია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში.

ინსტრუქტორთა მიღების და ატესტაციის პირობები ასევე გაწერილია ნდ 2-010104 „პერსონალის მართვის დებულება“-ში.


## 7. გამოცდის ჩატარების პროცედურა

- 1) შპს ბუსსს ანრიში არსებულ ყველა კურსზე მსმენელთა ცოდნის შეფასება მოწმდება კურსის დასრულების შემდეგ გამოცდის ჩატარებით.
- 2) გამოცდა მოიცავს როგორც თეორიული, ასევე, საჭიროებისამებრ, პრაქტიკული სავარჯიშოების, დავალებების შესრულებას.
- 3) თეორიული ცოდნის შემოწმება ხდება ტესტირების სახით, ხოლო პრაქტიკული - კურსის პროგრამიდან გამომდინარე დავალებების შესრულებით, რომლის შედეგები ფიქსირდება ე.წ. „ჩეკ-ლისტებში“; პრაქტიკული დავალებები ასევე იძლევა კურსის შესაბამის სიმულატორზე შესასრულებლად.
- 4) საგამოცდო ტესტი, ბილეთი და ჩეკლისტი შესაბამისობაშია კურსის პროგრამასთან.
- 5) გამოცდა ტარდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო კომისიის მიერ;
- 6) კომისიის შენადგენლობა განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებით;
- 7) სურვილისამებრ, გამოცდას ესწრება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენელი, რომლის დასწრება ასევე აღინიშნება საგამოცდო ოქმში;
- 8) გამოცდის შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმის სახით;
- 9) საგამოცდო ოქმი ფორმდება ოქმების რეგისტრაციის ჟურნალში;
- 10) გამოცდა ტარდება ელ.მოდულის მეშვეობით;
- 11) გამოცდის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია თეორიული და პრაქტიკული ნაწილების საერთო შეფასებაზე;
- 12) კონვენციური კურსის დაწყება და დამთავრება იტვირთება ელ.მოდულში.
- 13) ყველა კურსის გამოცდის შედეგები აისახებ ელ.მოდულში, ბუსსს ანრის დამტკიცებულ საგამოცდო ომის ფორმაში, ინახება შპს ბუსსს ანრიში, საჭიროებისამებრ იგზავნება საზღვაო სააგენტოში.

## 8. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები

### 8.1 წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი

- წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ხელმძღვანელობს მეძღვაურთა მომზადება / გადამზადების, სერტიფიცირების პროცესს.
- წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით; უშუალოდ ექვემდებარება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორს და პასუხისმგებელია მის წინაშე.
- წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი უნდა იყოს საზღვაო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საზღვაო სასწავლებელში ხელმძღვანელად მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის  
დე ბ უ ლ ე ბ ა

*Regulation for Seafarers' Training and Certification Centre*

წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის საკვალიფიკაციო, კომპეტენციის მოთხოვნები, უფლებების, პასუხისმგებლობა და მოვალეობები ვრცლად განსაზღვრულია ფუნქციონალ მოვალეობებში N 2-010201/11.

შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისად კვალიფიცირებული პირი, დაშვებულია წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის თანამშრომელთა რიგიდან.

**8.2 წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი**

წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი ინიშნება და თავისუფლდება შპს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის ბრძანებით; ექვემდებარება შპს ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსს, და პასუხისმგებელია მის წინაშე.

**უნდა იცოდეს:**

1. ერთიანი სახელმწიფო სისტემის საქმისმწარმოების ძირითადი წესები - პრეზიდენტის განკარგულება 414, 1999წ,
2. შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი, პოლიტიკა და მიზნები ხარისხის დარგში, სტრუქტურა, ხარისხის სახელმძღვანელო;
3. შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია მის უშუალო მოვალეობებთან.

წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის საკვალიფიკაციო, კომპეტენციის მოთხოვნები, უფლებების, პასუხისმგებლობა და მოვალეობები ვრცლად განსაზღვრულია ფუნქციონალ მოვალეობებში N 2-010201/12.

## 9. რესურსები

წინამდებარედებულების შესრულებისათვის საჭიროა შემდეგი რესურსები:

1. საგამოცდო უწყისები
2. სასწავლო ჟურნალები
3. სასწავლო პროგრამები
4. საგამოცდო ბილეთები, ტესტები, ჩეკ-ლისტები
5. სასწავლო რბცესისთვის აჭირო ლიტერატურა, არჭურვილობა, დანადგარები და ა.შ.
6. კვალიფიცირებული პედაგოგები
7. შეფასების კითხვარი